საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011802818732619

საქართველო, დუშეთი 1800, სტალინის ქ. 27. ცხელი ხაზი: 240 10 10, ელ. ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი: www.psda.gov.ge

22 / იანვარი / 2019 წ.

№ 39/4/დ

დ ა ს კ ვ ნ ა

მოქ. მაყვალა ქოჩორაშვილის პ/ნ 16001012176 კანონიერი მონაცემის დადგენის შესახებ

2019 წლის 22 იანვარს დუშეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს პირადობის მოწმობის შესაცვლელად განცხადებით N 1600119000104 მომართა მოქ. მაყვალა ქოჩორაშვილმა პ/ნ 16001012176 და მოითხოვა პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემა ქორწინების შემდგომი გვარით :"როსტიაშვილი". მან წარმოადგინა:

1.სამახსოვრო ბარათი N1600119000104 პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის შესახებ გვარით :"როსტიაშვილი";

2.პირადობის მოწმობა N დ 1080769 გაცემული 30.11.2007 წელს დუშეთის სამსახურის მიერ;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დუშეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განცხადების განხილვის ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს დადგინდა შემდეგი: მაყვალა ქოჩორაშვილი 19.06.1980 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაშია მოქ. შალვა როსტიაშვილთან , საცოლის მაყვალა ქოჩორაშვილის ქორწინების შემდგომი გვარია - „როსტიაშვილი", მიუხედავად აღნიშნულისა მოქალაქე ფლობდა დოკუმენტებს ქორწინებამდელი გვარით :"ქოჩორაშვილი ".

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით მოქ. მაყვალა ქოჩორაშვილის პ/ნ 16001012176 მიმართ გვარით :"ქოჩორაშვილი" გაცემულია ორი პირადობის მოწმობა, ხოლო გვარით :"როსტიაშვილი" ინფორმაცია არ იძებნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–97 მუხლების თანახმად მოძიებული იქნა მაყვალა ქოჩორაშვილის მიმართ პირადობის მოწმობის გაცემის დროს შევსებული განცხადება–ანკეტა ფორმა N 1-ბი, რომელიც შედგება შემდეგი ანკეტური მონაცემებისაგან: გვარი- ქოჩორაშვილი; სახელი– მაყვალა; მამის სახელი – სანდროს ასული; დაბადების თარიღი :"05.08.1939" წელი; დაბადების ადგილი:დუშეთი. პირადობის მოწმობის გაცემის საფუძვლად მითითებულია სსრკ პასპორტი IX-ТИ N 539804 გაცემული 10.10.1979 წელს დუშეთის შს განყოფილებისმიერ. გაცემულია პირადობის მოწმობა Nდ 0526198 პირადი ნომრით N 16001012176,რომელიც მან შეიცვალა 2007 წლის 30 ნოემბერს პირადობის მოწმობით N დ 1080769. სსგს ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ფიქსირებული მონაცემი განცხადება-ანკეტა ფორმა N 1-ბის იდენტურია.

დუშეთის სამსახურის მიერ მოძიებულ იქნა მაყვალა ქოჩორაშვილის და შალვა როსტიაშვილის მიმართ 19.06.1980 წელს ჭონქაძის სასოფლო საბჭოს მიერ რეგისტრირებული ქორწინების აქტის ჩანაწერი N20,რომლის მიხედვით მაყვალა ქოჩორაშვილის ქორწინების შემდგომი გვარია :**"როსტიაშვილი",** მიუხედავათ აღნიშნულის ის ფლობდა საბუთებს ქორწინებამდელი გვარით. ქორწინების შემდგომი გვარით :როსტიაშვილი" მის მიმართ პირადობის მოწმობა არ გაცემულა, აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მიუხედავად ქორწინებით გვარის შეცვლის 1980 წლის შემდეგაც ფლობს საბუთებს ქორწინებამდელი გვარით: „ქოჩორაშვილი".

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის ბრძანების N 98 „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის

ძეღების ან საკუთარ გვართან ძეუღლის გვარის შეერთების, ასევე ქორწინებამდელი გვარის დაბრუნების შემთხვევაში, **გვართან დაკავშირებულ ნამდვილ მონაცემად მიიჩნევა ქორწინების /განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემი,"** ამგვარად წარმოდგენილი და მოძიებული დოკუმენტების ანალიზის და ურთიერთშეჯერების გზით ირკვევა, რომ მაყვალა ქოჩორაშვილის კანონიერი გვარია ქორწინების შემდგომი გვარი - „როსტიაშვილი".

იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 05 თებერვლის ბრძანებით N 114 დამტკიცებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში გამოვლენილი არასწორი/ურთიერთშეუსაბამო მონაცემების მექანიკურ შეცდომად მიჩნევის წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის **რ)** ქვეპუნქტის თანახმად მექანიკურია შეცდომა: თუ სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შედეგად, პირმა შეიცვალა სახელი ან გვარი, მაგრამ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ფლობს სახელის/გვარის შეცვლამდე არსებული სახელით ან გვარით" აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული შეუსაბამობა გვარში ჩაითვლება მექანიკურ შეცდომად.

დუშეთის სამსახურმა იხელმძღვანელა რა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის ბრძანების N 98 „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ მუხლი 2-ის მე-6 პუნქტით.;50 მუხლის მე–4 პუნქტით, იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 05 თებერვლის ბრძანებით N 114 დამტკიცებული „პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში გამოვლენილი არასწორი/ურთიერთშეუსაბამო მონაცემების მექანიკურ შეცდომად მიჩნევის წესის" მეორე მუხლის პირველი პუნქტის **რ)** ქვეპუნქტით

გადაწყვიტა:

1. განისაზღვროს მაყვალა ქოჩორაშვილის შემდეგი კანონიერი მონაცემი: მაყვალა სანდროს ასული **როსტიაშვილი**, დაბადებული:05.08.1939 წელს, დუშეთის რ-ნში, **პ/ნ 16001012176;**
2. გაუქმდეს პირადობის მოწმობა N დ 1080769 მიზეზით:"გვარის შეცვლა";
3. ვადის გასვლის მიზეზით გაუქმებულ პირადობის მოწმობას დაემატოს გაუქმების მიზეზი: „ გვარის შეცვლა";
4. დასკვნა ჩაბარდეს მოქალაქე მაყვალა როსტიაშვილს და განემარტოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების შესაბამისად უფლება აქვს გაასაჩივროს იგი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, (სახელმწიფო სერვისების განითარების სააგენტოში,მისამართზე:ქ. თბილისი ა. წერეთლის გამზ. 67ა) კანონით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში .

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დუშეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნელი ყოჩიშვილი